

## თანდებულთა და თანდებულთა სახელთა მართლწერა

თანდებულთა დაერთვის მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და მიმართულებითს ბრუნვებს. თანამედროვე ქართულში ზოგი თანდებულთა თითო ბრუნვას ერთვის, ზოგიც — ორ ბრუნვას. თითო ბრუნვას ერთვის: **ზე, ში, თან** (მიცემითს); **კენ, თვის** (ნათესაობითს); **მდე || მდის** (მიმართულებითს); **უროთ** (მოქმედებითს). ორ ბრუნვას ერთვის **გან** (მოქმედებითსა და ნათესაობითს). ყველა ეს თანდებულთა დღევანდელ ქართულში ერთმარცვლიანია და შერწყმულია სახელის ბრუნვის ფორმას, მაშინ როცა ძველ ქართულში მათი უმრავლესობა ორმარცვლიანი იყო და არ იყო შერწყმული სახელის ბრუნვის ფორმას. შერწყმის პროცესში ბევრ შემთხვევაში შედეგად ის მივიღეთ, რომ ცვლილებები მოხდა როგორც ბრუნვის ფორმაში, ისე თანდებულებშიც. ამის გამოა, რომ დღევანდელ სალიტერატურო ენაში ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმები გვხვდება და ზოგი საკითხი მოსაგვარებელია.

პარალელურ ფორმათა არსებობას სალიტერატურო ენაში ის ფაქტიც იწვევს, რომ ზოგი თანდებულთა კილოებში სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი, თანაც ბრუნვის ფორმასთან შერწყმისას სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული პროცესები მომხდარი. კილოებიდან, განსაკუთრებით მწერლობის გზით, ამგვარი ფორმები სალიტერატურო ენაშიც იჭრება, რაც ფორმათა ნაირგვარობის წყაროა.

1. **ზე** თანდებულთა მიცემით ბრუნვას დაერთვის და სამი სახით გვხვდება: **ზედა, ზედ და ზე. ზედა** სახეობა იხმარებოდა ძველ ქართულში, ცალკე იდგა და მიცემითი ბრუნვის ფორმა სახელისა უცვლელად იყო წარმოდგენილი. ძველ ქართულში იგი ნათესაობით ბრუნვასაც დაერთოდა. **ზედ და ზე** სახეობები **ზედა**-ს გამარტივებისა და გაერთმარცვლოვანების შედეგია და შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან. შერწყმისას მიცემითი ბრუნვის ფორმანტი დაკარგულია ყველგან: თანხმოვანფუძიან სახელებთანაც და ხმოვანფუძიანებთანაც. მიცემითის -ს დატულია მხოლოდ III პირის ნაცვალსახელში: **მა-ს-ზე**, მაგრამ ჩვენებითი ნაწილაკების დართვისას აქაც იკარგება: **ამა-ზე, იმა-ზე...**

ქართული მწერლობის კლასიკოსებთან **ზედ და ზე** სახეობები ორივე თანაბრად გვხვდება.

ველი მწვანე შინაში იქავე ქვეა ზე წამოთხვეს (აჰაკი).

რამდენიმე ბიუი კარებზე დააყენეს ჯიხით (აჰაკი).

ჩემ სიტყვა-ბა სუბზე დედის გინებოდა და თავზე მისვამდა ხელს (აჰაკი).

მე იმ დედელზე სიტყვა ძალიან გაგვირძელე (ილია, ავტოგრაფი).

იმის ნასროლმა საფანტმა უზუნუნით თავზე გადამიარა (ილია).

გიორგიმ ამის თქმაზე ფეხი კიდევ წაჰკრა (ილია).

დედაჩემი დაწვებოდა გორაკზე (ვაჟა).

წინდის ქოხზე ჩამოცმული ეკლა მჭეარტლისაგან გაყვითლებული ტყავის ქუდი (ვაჟა).

საბძელზე ყარტი დამპალა და დახლა დაფენილა (ვაჟა).

მამაჩემი თავის დროზე განთქმული მოჭადრაკე იყო (აჰაკი).

შუა სარი სათივისა ორ ადგილზე-ღა პჩანდა და სათივე ვიწროზე აღიოდა  
თავის მოსაბმელად (ილია).

მაგრამ:

არჩილმა თავს ოთახში აატანინა გიორგი და თავის ლოჯინზე დააწვინა (ილია).  
იმ კულიან ვარკვლავზე და გველეშაპზედ სომხების ტერტერებს თავიანთი  
კარაბადინი გაუშლიათ (ილია).

ვიორგი ცოცხალ-მკვდარი ნახეს დედამიწაზედ პირქვე დამხობილი (ილია).

კესომ აღარ აცალა, წააგლო ხელი სახელოზედ და გამოსწია (ილია).

სამუშაოზედ არსად წახვიდე, კესოს შენთან საქმე აქვს (ილია).

მეიმდვდეღეზედ სიტყვა ძლიან გაგიგრძელე (ილია).

ლუარსაბი ამ ყვირილზედ სრულიად გამოფხიზლა (ილია).

ნასწავლი კაცი არის, ტანზედ ფრეკი აცვია (აკაკი).

მის ცხენზედ მის მეტი ვერავინ ჯდებოდა (აკაკი).

თუ არ მოვკვდი, ფუჰად არ გაივლის ჩემზედ ხარჯი (აკაკი).

ჩემს „გლახის ნამბობზედ“ შენი აზრი მალე მაეცნობე (ილია, ავტოგრაფი).

სოფლიდამ გზის პირებზედ გამოქურდა ხალხი (ვაჟა).

მგელმა შეიხედა მალა გორაზედ (ვაჟა).

ტანზედ მაცვია... თხელი ქათბი (ვაჟა).

ამჟამად გაბატონებულია ზე სახეობა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში იხმა-  
რება ზედ და ზედა სახეობებიც.

ზედ სახეობა იხმარება ვე ნაწილაკის დართვისას: თავზედვე, მთაზედვე...,  
თქვენზედვე.

ხანჯალი ტანზედვე გაისწორა (აკაკი).

ზედა სახეობა იხმარება ცა) ნაწილაკის დართვისას: თავზედაც, მთაზე-  
დაც, თქვენზედაც, ჩემზედაც....

ემვი არ არის, რომ ჩემს ვარკვლავზედაც შემდეგი წერებულა (აკაკი).

იქნებ... როგორც თავისი შვილი გულზედაც მიმიკრას (ილია, ავტოგრაფი).

ზედა სახეობა იხმარებოდა ზოგ მწერალთან იმ შემთხვევაშიც, როცა ამ  
თანდებულიანი სიტყვა ფრაზის შემკვრელად გვეგლიხნება (უთანდებულო სახელი  
ამ შემთხვევაში ემფატიკური ხმოვნითაა წარმოდგენილი).

უკეთესია კაზლოვის თარგმანზედა (ილია).

დაასვენეს ტახტზედა (ილია).

რალცა ნაღველმა გადაურბინა გაფითრებულ სახეზედა (ილია, ავტოგრაფი).

ზედა სახეობა ჩვეულებრივია აგრეთვე პოეზიის ენაში:

გავიხედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო,

წინ შეძებრები მიძღვის, დაგემილი ჩემზედაო... (ხალხური).

ამაოდ სიტყვებს ჰხარავდა

ძმობა-ერთობის ჰანგზედა,—

ბოლო ედება კოდალას,

ჩამოკიდებულს ხაცსზედა,

წოფელს კი თვისი ტოტები

გაუფარჩხია განზედა (ვაჟა).

2. ში თანდებულიც მიცემით ბრუნვს დაერთვის. ძველ ქართულში გვქონდა  
შინა, შემდგომ აგრეთვე შიგან. ესენი ცალკე მდგომი თანდებულები იყო და მი-  
ცემითი ბრუნვის ფორმა სახელისა უცვლელად იყო წარმოდგენილი. ახლანდელი  
ში შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან და ბრუნვის ფორმანტი დაკარგულია.  
ბრუნვის ნიშანი დაკრულია მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელთან: მასში  
(მაგრამ: ამაში, იმაში...).

დიალექტებში არის **შიდ**, **ჩი**, **ჩიგ**, **ჩიგა** სახეობები, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ენაში ეს სახეობები არ გვხვდება.

**ც(ა)** ნაწილაკის დართვისას გვხვდება **შია** სახეობაც, რაც ძველი სახეობებიდან მომდინარეობს.

ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედ (ილია).

კარში გამოვდიოდი კი არა, ოთახშიაც ვერ ვრჩებოდი (აკაკი).

მეტი მოინდომა და სიძნელეშიაც ჩაიგდო თავი (აკაკი).

მიუხედავად ამისა, **ც(ა)** ნაწილაკის დართვისასაც **ში** სახეობაა დღევანდელ ქართულში გაბატონებული.

3. მიცემით ბრუნვას დაერთვის **თან** თანდებულიც. იგი ძველი ქართულის ცალკე მდგომ **თანა** თანდებულისაგან მომდინარეობს, რომელიც ძველ ქართულში მიცემითაც დაერთოდა და ნათესაობითაც. მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** დაკარგულია (ე. ი. **სთ** კომპლექსი გამარტივებულია) თანხმოვანფუძიან სახელებთან, მაგრამ შემონახულია ხმოვანფუძიანებთან (**სახლ-თან**, **ბალ-თან**, მაგრამ **ეზო-ს-თან**, **მამა-ს-თან**). მთის კილოებში მიცემითის ფორმანტი თანხმოვანფუძიანებთანაცაა შემონახული (**სახლ-ს-თან**, **ქალ-ს-თან**). სხვა აღმოსავლურ კილოებში **ს** ხმოვანფუძიანებთანაც იკარგება ზოგჯერ (**მამათან**) ან უფრო ხშირად სუსტდება და მას **ა** ცვლის (**მამა-ა-თან**), ზოგ დასავლურ კილოში კი ხმოვანფუძიან სახელებში მიცემითის **ს** შემონახულია, მაგრამ სამაგიეროდ თანდებულის **თ** ელემენტი დაკარგული და **სთ** კომპლექსი ამ გზითაა გამარტივებული (**ეზო-ს-ან**, **მამა-ს-ან**).

ეს კილოური მოვლენები სალიტერატურო ქართულზე ზეგავლენას ვერ ახდენს.

**ც(ა)** და **ვე** ნაწილაკების დართვისას ძველი **თანა** სახეობაც იხმარება (**ამხანაგთანც** და **ამხანაგთანაც**, **დედასთანც** და **დედასთანაც**, **ამხანაგთანვე** და **ამხანაგთანვე**, **ამასთანავე**...).

4. ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის **-თვის** თანდებული. ამ თანდებულის დართვისას ბრუნვის ფორმაში ცვლილებები არ ხდება. ბრუნვის ფორმა გაუერთობლადაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი და გავრცობილადაც (**ამხანაგისთვის** და **ამხანაგისათვის**, **მამისთვის** და **მამისათვის**). აღმოსავლურ დიალექტებში გვხვდება **თვის**, **თვისა**, **თვი** სახეობები, რომელთაგან **თვის** ზოგ დასავლურ დიალექტში ნაშთის სახითაა შემორჩენილი. ამ სახეობებმა ადრევე იჩინა თავი მხატვრულ ლიტერატურაში და საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX საუკუნის კლასიკოსთა ენაშიც (**თვის** — ილიასთან, ა. ყაზბეგთან, **თვი** — ვაჟა-ფშაველასთან). ამჟამად ეს კილოური მოვლენები სალიტერატურო ენაზე გავლენას ვეღარ ახდენს და **თვის** სახეობაა გაბატონებული.

5. **კენ** თანდებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის. ბრუნვის ფორმაში ცვლილებები არც ამ თანდებულის დართვისას ხდება. ბრუნვის ფორმა ამ შემთხვევაშიც შეიძლება გავრცობილიც იყოს და გაუერთბელიც (**სახლისკენ** და **სახლისაკენ**, **ეზოსკენ** და **ეზოსაკენ**). მთის კილოებში (მაგ., ფშაურში) გვხვდება **კე**, **კ** სახეობაც, რომელიც ფართოდაა წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას ნაწერებში. **კე** სახეობა ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება. დღევანდელ სალიტერატურო ენაში მხოლოდ **კენ** სახეობა გვაქვს.

6. **მდე** || **მდის** თანდებული დაერთვის მიმართულებითი ბრუნვის ფორმას. ძველ ქართულში მიმართულებითი ბრუნვის **დ მდე** || **მდის** თანდებულის წინ მეტ-

წილად დატული იყო (დღე-ღმდეგ || დღე-ღმდის, სახლ-ად-მდე...). მაინც მიმართულეებითს დ ამ თანდებულის წინ ადრევე დაიკარგა. ასევეა დღევანდელ ქართულშიც. მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებშია შემონახული მიმართულეებით-ბრუნვის ნიშნის ა ელემენტი (სახლ-ა-მდე). ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გვხვდებოდა ამ თანდებულის ორი ვარიანტი: მდე და მდის, რომელთაგან უფრო გავრცელებული იყო მდე. XVI—XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში ამათ დამატა მდენ, მდენა, მდი, მდინ, მდინა, მდისინ, მდისინა ვარიანტები. ეს ვარიანტები აქამადაც დატულია კილოებში და ზოგი მათგანი გვხვდება XIX საუკ. II ნახევრის მწერალთა ენაშიც. მაგალითად:

- სოლომონმა ჭიშკრამ დი შიაცლა (დ. კლდ.).
- თუ გაჭირდა... ხელმწიფემ დი ვიელიო (ილია).
- ხორციდან დაწყებული სულამდინ გამცალა (გ. წერ.).
- თავიდან ფეხებამდინ ჟყოლამ გამიარა (ილია).
- შემოდგომამდინ გაუძლო (ილია).
- ინუგეშებს საფლავის ქარამდინა (ილია).
- აჭყვებოდა რუს თავამდინა (ილია).
- აქამდისინ მთელი რუსეთი ფიჭობდა, რომ მისი გული მოსკოვა (ილია, ავტოგრაფი).
- ტყვიამ აქამდისინ ვერ მიპოვა (ილია).
- მანამდისინ ტყული არ მეთქო (ლ. არღაზ.).

არც ერთი ეს სახეობა XIX საუკუნის II ნახევრის და XX საუკუნის დამდეგის სალიტერატურო ენისათვის აქტუალური აღარ იყო, გარდა მდი და მდინ სახეობებისა. მდი სახეობა გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში (აკაკი, დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე...), დაჟინებით იცავდა ამ სახეობას ცნობილი გრამატიკოსი სილ. ხუნდაძე. მდინ სახეობა ფართოდ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერლებთან, მაგ., ილიასთან.

- მდი:** ამო ნიკო! მე სხვა და სხვა შემთხვევის გამო ხუთ შაბათამ დი ვერ მოვლევარ (აკაკი) - სკოლაში იმას თუ გასწავლიან, შუადღემ დი იძინო? (ვაჟა).
- მდინ:** ლუარსაბმა სიზმარი თავიდან ბოლომდინ, როგორც იყო, ისე უამბო (ილია), დაღესტანამდინ იმას სახელი გავარდნილი იყო (ილია). იმათ ფეხი სად მოუწვდებათ თქვენამდინ (ილია). ჩემი სახელი დათიკომდინ მისულიყო (ილია). აქამდინ მე სულელი კიდევ რაღაცას ველოდი (ილია). თავიდან ბოლომდინ გაღუქსილია (ილია). მღვდელმა არ მიუშვა მუხლებამდინ (ილია). შეიღის წლიდგან ოც წლამდინ ჩემი განთიადის დღენი ბატონის სახლში დამიღამებია (ილია).

- აუდმყოფობამ ამ დღემდინ მიმოყვანა (ილია).
- ჩვენ იქამდინ ხელი არ მიგვიწვდება (ილია).
- არა გვიჭირს, შენი ჭირიმე, დღესნამდინ ცოცხლები ვართ (ვაჟა).

ძირითადი სახეობები ამ დროს მაინც მდე და მდის იყო.

- მდე:** ფოთამდე ორ დღეს მოუხნდი სიარულს (აკაკი).
- კარგი, გაჩერდი მაგრე კლასის გამოსვლამდე (აკაკი).
- წავიკითხე თავიდან ბოლომდე (აკაკი).
- მე ავწერ, წლიდან წლამდე რას ვაკეთებდი (აკაკი).
- თვალის დახამხამებამდე გამოეწყუნენ (აკაკი).
- იმ დამეს ოთარანთ ჭერებს დილამდე ძლი არ მიჰკარებია (ილია).
- ელვამ ტყინიღამ გულამდე უცბად გამიბრინა (ილია).
- ფეხი ძლივს მიავლინა საინე ურმის ჭალეებამდე ფეხის მოსაყიდებლად (ილია).

სახლადმ ეკლესიამდე და მერე ეკლესიადმ სასაფლაომდე ეუბო ეჭირა  
არჩილს (ილია).

[დევისა და კობალას] ბრძოლა დილიდამ საღამომდე გაგრძელდა (ვაჟა).  
...ჩამოვარდება შუღლი... რომელმაც ბევრი-ბევრა დიდმარხვამდე გასტანის  
(ვაჟა).

მზეს ერთი შუბის ტარი-ლა ჩაუდიოდა ჩასვლამდე (ვაჟა).

**მღის:** მთელი დღე საღამომღის, სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მეტს არაფერს  
მივჯავარებდენ (აკაკი).

დილიდან საღამომღის ვლიე ხან ერთს და ხან მეორეს (აკაკი).

იმ დღეს რალა მოესწრებოდა, მაგრამ სწორამღის კი მომტანეს ახალი (აკაკი).

კლასის გათავებამღის ოთხჯერ კიდევ დამკრა (აკაკი).

თთარანთ ქერივისაც ეწინოდათ, გუბერნატორამღის იელისო (ილია).

ფერისცვალემამღის არ მოიციდის ზოლზე (ილია).

აქამღისაც მიკერს (ილია).

ამოუღრუტნია წიფელი გულამღის (ვაჟა).

შენ ბევრს მშველი, თორემ აქამღის ჩემის ქათობის ბეწვიც არ იქნებოდა (ვაჟა).

შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამღის (ვაჟა).

ყელამღის სიხარულით მოიყარენ (ვაჟა).

აკაც სულით ზორცამღის დაიჯარებოდა (ა. ყაზბ.).

საქმე სოფლის სასამართლომღის მოვიდა (დ. კლდ.).

მთანი... ცათამღის აყუდებულნი, სხედან, ვით დევნი (გრ. ორბ.).

**ც** ნაწილაკის დართვისას ა ხმოვანი გაჩნდება: აქამღის—აქამღისაც.

დღევანდელს სალიტერატურო ენაშიც ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს:  
**მდე** და **მღის** სახეობები თითქმის თანაბრადაა გავრცელებული. ამასთან, **მღის**  
სახეობაა გამოყენებული ზოგიერთ გაქვავებულ გამოთქმაში, როგორიცაა, მაგალი-  
თად, გამოთხოვების ფორმულები: **ნახვამღის**, **ხვალამღის**; ენობრივად ორივე  
ვარიანტი სწორია, ფუნქციური განსხვავება მათ შორის არ არის

მიანიცდამინიც, უფრო გავრცელებული **მდე** სახეობაა.

7. **გან** თანდებული ორ ბრუნვას დაერთვის: ნათესაობითსა და მოქმედე-  
ბითს. ნათესაობითს დართვისას ბრუნვის ფორმა გაუფრცობლადაც შეიძლება იქნეს  
წარმოდგენილი და გავრცობილადაც (**შვილისგან** და **შვილისაგან**, **გოგოსგან** და  
**გოგოსაგან**, **ძმისგან** და **ძმისაგან**), მოქმედებითს დართვისას კი—მხოლოდ გა-  
უფრცობლად.

როდესაც **გან** თანდებული ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელსა და-  
ართული, მაშინ თანდებულდართული ფორმა სახელისა აღნიშნავს ან მასალას, ან  
მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვებზე: **ვისგან?**  
**რისგან?** (წერილი მივიღე **ამხანაგისგან**... შეაქარს **ჭარხლისგან** ამზადებენ...).  
როცა **გან** თანდებული მოქმედებით ბრუნვასაა დართული, თანდებულაანი ფორმა  
აღნიშნავს მოქმედების დაწყების ადგილს ან მოქმედების დაწყების დროს და მი-  
უგებს კითხვებზე: **საიდან?** **რა დროიდან?**, ე. ი. ასრულებს ე. წ. დაწყებითი  
ბრუნვის ფუნქციას.

ამ უკანასკნელი ფუნქციით ძველ ქართულში იხმარებოდა უთანდებულო  
ფორმა (ქალაქით; ივინი წარვიდეს ადრე მიერ საფლავით.—**მ.** 28.8; გარდა-  
მოვდა იგი მიერ მითით.—**მ.** 8.1; მე ოდეს აღვმალდე ქუეყანიით.—**ი.** 12.32).  
შემდგომ ამ ფორმას **გან** თანდებული დაერთო (ქალაქითგან; პირველითგან  
იყო სიტყუა.—**ი.** 1.1; რომლისა თანა იყო სული უძღუტრებისა ათრვამეტი  
წლითგან.—**ლ.** 13.11; დასდვა იობს წყლულეება ბოროტი ფერტითგან  
ვიდრე თვამდე.—**იობ.** 2.7; მოვიდეს ქართლით.—**ხანძით.**). ამას მოჰყვა ფონეტი-  
კური პროცესები: ვერ თანდებულის ძეღერი **გ**-ს ზეგაგლინით ბრუნვის ნიშანი **თ**



გამკლერდა და დ-დ იქცა (ქალაქ-იდ-გან), შემდგომ კი თანდებულის გ-ც და-  
იკარგა და დაგვრჩა ქალაქ-იდ-ან.

უთანდებულო ფორმები დაწყებითი ბრუნვის ფუნქციით ძველი ქართულის  
მსგავსად ამჟამადაცაა დაცული მთის კილოებში:

სანამ იცოცხლე, გოგოთურ,  
სანამ ცასა სდის ნამია,  
სანამ მზე ათბობს ქვეყანას,  
ღილა-სალამოს ყამია;  
სანამ ტყეს ესხმის ფოთოლი,  
მიწა ამცენებს მწვანისა,  
სანამ ჯინჯველა ქა ლ ა ქ ი თ  
ზურგით მაიტანს მარლისა... (ვაჟა).  
ჯერ მეფის სიტყვა არა სჩანს:  
„შემოგვესია მტერიო,  
ფ შ ა ე ი თ მოიდეს ლაშქარი,  
ჩემი ერთგული ერიო“ (ვაჟა).  
მე კვირია ვარ, მიტირე,  
თ უ შ ე თ ი თ მოსულ მზირია (ვაჟა).

ქალაქით = ქალაქიდან; ფ შ ა ვ ი თ = ფ შ ა ვ ი დ ა ნ ; თ უ შ ე თ ი თ = თ უ შ ე თ ი დ ა ნ .

იდ-გან ფორმა საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა XIX საუკუნის მწერალთა  
ენაში. ამჟამად დაცულია ზოგ კილოში (მაგალითად, იმერულში).

შ ო რ ი დ გ ა ნ ე უ მ ზ რ დ ე ს ა ს უ რ ე უ ლ მ ხ ა რ ე ს ( გ რ . ო რ ბ . ).  
ცისა ფერს... ს ი ყ რ შ ი დ გ ა ნ ვ ე ტ რ ფ ო ლ ი ( ნ . ბ ა რ ა თ . ).  
შვიდის წლიდგან მოკიდებული... ბატონის სახლში დამიღამებია (ილია).  
გაჩენის დღითგან კაცის ხელი არ მოჰხვედრია (ილია).  
იმ უბედურის წამიდგან აღარ მოჰშორებია გიორგის (ილია).  
შინიდგან ფეხი არ გამოუღვამს (ილია).  
ცხერიდგან რაისთვი მოსულხარ? (ა. ყაზბ.).  
თვალებიდგან ცეცხლსა ჰყრიდა (ა. ყაზბ.).

ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნიდან“ მოკიდებული გან თანდებულაან მოქმედე-  
ბითს დაღმა || დაღმე-დან მომდინარე დამ თანდებულაანი ფორმები შეენაცვლა  
ბევრ შემთხვევაში. განსაკუთრებით ფართოდ მოიკიდა დამ თანდებულაანმა ფორ-  
მებმა ფეხი XVII—XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში და კიდევ უფრო  
ფართოდ გაგრცელდა XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ  
მწერალთა ნაწერებში (ილიასთან, ვაჟასთან...).

ვ ლ ა დ ი კ ა ე კ ა ს ი დ ა მ ტ ფ ო ლ ს ა მ დ ე ( ი ლ ი ა ).  
ქ ა ლ ა ქ ი დ ა მ ვ რ თ ა თ უ მ ა ნ ი გ ა მ ო გ ე ვ ზ ა ე ნ ა ( ი ლ ი ა ).  
გ ე ე ვ დ რ ე ბ ი , გ ზ ი დ ა მ ჩ ა მ ო მ ე ც ა ლ ე ( ი ლ ი ა ).  
დაბთქალ წყულულიდამ ჩირქი სდიოდა (ილია).  
ჩენის ძველის სახლიდამ ბოქებმა გამოგვყარეს (ილია).  
მამაჩემს პარველი ცოლიდამ მარტო მე დაერჩი (ილია);  
მთი დამ მამლის ყვილამდის ვერ ჩამოხვალ (ა. ყაზბ.).  
იახსარი ანგელოზა იყო და ანგელოზად ჩამოვიდა ცი დამ (ვაჟა).  
ხალხმა ღმერთს შესთხოვა, ესწავლებინა მას ხალხისათვის საშუალება იახსარის  
ტ ბ ი დ ა მ გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა ( ვ ა ჟ ა ).  
ტ რ ე ლ ბ ი ხ შ ი რ ი ბ ა ლ ა ხ ი დ ა მ გ ა გ ო გ დ ე ნ , მ ხ რ ე ბ ი დ ა მ ნ ა მ ი გ ა ი ბ რ ტ ყ ე ს ( ვ ა ჟ ა ).  
თქვენი ლაპარაკი დამა სჩანს, ის დათვი ყველგან უნდა იყოს (ვაჟა).

დამ თანდებულის საკითხი სალიტერატურო ქართულში ამჟამად აქტუა-  
ლური აღარაა: მოქმედებითს დართულმა გან თანდებულაანმა ფორმებმა (იდ-ან ||

დ-ან) გაიმარჯვა. დამ თანდებული ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლურ კილოებში, დასავლური კილოებიდან გადმონაშთის სახით გურულშია გვხვდება.

გასული საუკუნის სალიტერატურო ენაში გვხვდებოდა და დღევანდელ სალიტერატურო ენაშიც გვხვდება გან თანდებულდართული ნათესაობითისა და მოქმედებითის აღრევის შემთხვევები.

1) ნათესაობითის ნაცვლად მოქმედებითია ნახმარი:

ყმობიდან გაგანთავისუფლებო (ლ. არღაზ.).

გულდამწვარი ვარ ზოგიერთებიდან (ე. ნინოშვი.).

მაგას მამულის გამყოფელიდან უნდა თავი დეიფაროს (დ. კლდ.).

2) მოქმედებითის ნაცვლად ნათესაობითია ნახმარი:

სინათლე... შემოდოდა ფანჯრებისაგან (ე. ნინოშვი.).

ძველ ქართულში გან თანდებულიანი ნათესაობითის გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა დღევანდელ ქართულში გან თანდებულიანი მოქმედებითი იხმარება, ჩვეულებრივი იყო:

გამოველ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა (აბო).

ვითარცა ზღვსაგან წუთი წყალი ვინმე აღმოიღო (ხანძთ.).

აღმოიღე... დირქ იგი თუაღისაგან შენისა (ხანძეტი).

-ც(ა) ნაწილაკის დართვისას ორი ფორმა გვაქვს: ძმისაგან-ც და ძმისაგან-ა-ც, ხოლო -ვე ნაწილაკის დართვისას მხოლოდ ერთი: ძმისაგან-ვე.

8. ვით თანდებულად ქცევის გზაზე დამდგარი ნაწილაკია და თანამედროვე ქართულში ორ ბრუნვას დაერთვის: მიცემითსა და სახელობითს. XIX საუკუნის ზოგი მწერლის (ილია, ნ. ლომოური) ენაში ვით ნათესაობით ბრუნვას დართულიც გვხვდება.

თანამედროვე ქართულმა სალიტერატურო ენამ ასეთი ფორმები აღარ იცის.

1) მიცემით ბრუნვაში ვით დაერთვის:

ა) ბოლოთანხმოვნიანი სახელების გავრცობილ ფორმას (მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვში).

იმას თურმე დარჯან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შვილსავეთ ზრდადა (აკაკი).

მაშინ გამოუტყვრა გან წირულსავეთ უცნაური ბედი და თვალსა და ხელს შუა დაგვეკარგა (აკაკი).

იმავე კრებამ საყვედურსავეთ მითხრა (აკაკი).

შენ უნამუსობაზედ ქათამსავეთ ზედ წაგაკლავ (ილია, ავტოგრაფი).

ლხინსაც ქირსავეთ ძალის გაფრთხობა მსკოდნია (ილია, ავტოგრაფი).

ზოგიერთ ქაცსავეთ ხაცა მისულხარ, იქაური ქუდიც დავიხურავს (ილია).

დედამიწას მწვანე ხვერდსავეთ ჭეჯილის ყდა გადაეკრება (ილია).

პეტრეც შორიახლო მიეგდო და მკვდარსავეთ დაიძინა (ილია).

ბ) ბოლოხმოვნიანი სახელების -ებ სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის გავრცობილ ფორმას (ასეთი ფორმები ბოლოთანხმოვნიანთა რიგში ექცევა).

ყინულად ქეული ნაწური ჩურჩხელესავეთ ვიდა ხის ტოტებს (ილია).

არა თუ გადამტერებია სხვებსავეთ, პირქით, დიდი პატივისმცემელი იყო ჩემი (აკაკი).

ისინი არ მიყურებდნენ სხვებსავეთ (აკაკი).

გ) ბოლოხმოვნიანი სახელების გავრცობილ ფორმას (მხოლოობით რიცხვში)-

ზოგი ცოდის იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავეთ მიძივს (ილია).

გლახასავეთ თქვენ შემოგყურებთ და გაწუხებთ (ილია).

მოაჩირს ვერა ზედ მერცხლის ბუდე სავით ერთი მცირედი ფიკრული (ილია)..

უცაბედად ფეხებზე დადგა კატასავით (აკაკი).

ხედაბუნებია... კალიასავით მოჰფენოდნენ ქალებს (აკაკი).

ხელში იჭერენ ორივეს რეკ-ტაფელასავით (აკაკი).

სასახლე... მზესავით ლაპლაპებდა (ვაჟა).

დახლიდარს... ლოქოსავით პირი დაუღია (ვაჟა).

მუცელტიტველი ბალები, ტიკქორასავით დაბერილები, მიზბი-მოზბიანი (ვაჟა).

დ) ნაცვალსახელების გავრცობილ ფორმას (პირას ნაცვალსახელები შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმებს იყენებენ).

მართო რომ არ წაესულიყავ ჩემის, ჩემსავით ვე გამოუცდელ, მსახურას ანაპარად, თანამეზავრიც მიშოვა (აკაკი).

[ლაბუა ჩიტს] ჩემსავით თავი მოსწონდა (ვაჟა).

2) სახელობით ბრუნვაში ვით დაერთვის:

ბოლოთანხმოვნიან სახელებს (მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში).

არტალაზედ? ვაცივითა ვარ, ვაცივით (ილია).

პატარა ბიჭი ციბრუტივით მოტრიალდა (ილია).

რაკი, ბატონო, კენინა თვალს გააჰყურდა, შავარდენივით გადმოფრანდებოდა ტახტიდამ (ილია).

ის მხოლოდ წამხედურობით ბღავის ცხვარივით (აკაკი)

წინ მე გაერბოდი კურდღელივით (აკაკი).

ამ სიტყვებზე გიჭივით გამოვარდა (ა. ყაზბ.)

ნათელამ ამ სამ წელიწადს შოლტივით აიგლო ტანი (გ. წერ.).

[ღვეს] წილს ზევით ღორივით ჯგარი ასხია (ვაჟა).

კლდესაც ხავერდივით მწვანე ხავსი გადაჰკერია (ვაჟა).

[ხმელი წიფელი] ქობივით ეხურებოდა თავს მთელს ტყეს (ვაჟა).

მტრები ქორებივით ესოდნენ (აკაკი).

ეს დევებივით ქორაფები როგორ აწვდლან ზეცად (ვაჟა).

სქელი გველებივით დაკლავნილი ფესვები (ვაჟა).

ამრიგად, ვით დაერთვის ბოლოთანხმოვნიანი სახელებისა და ნაცვალსახელებს მხოლოდ მიცემითი ბრუნვის ფორმებს (გავრცობილს), ხოლო ბოლოთანხმოვნიანი სახელების მიცემითისა (გავრცობილს) და სახელობითის ფორმებს.

იმ შემთხვევაშიც, როცა ვით ბოლოთანხმოვნიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის, ასეთ სახელს ჩვენებითი ნაცვალსახელა სახელობითის ფორმით კი არ ეწყობა, არამედ მიცემითის ფორმით (ამ კაცივით, მაგ კაცივით და არა: ეს კაცივით, ეგ კაცივით, ის კაცივით).

აქ წარმოდგენილი მასალის გათვალისწინებით ბრუნვის ფორმასთან შერწყმული თანდებულებიანი სახელების მართლწერის საკითხები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ამგვარად უნდა მოწესრიგდეს:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც თანდებულებიანი სახელს ნაწილაკი არ დაერთვის, **ზედა, ზედ, ზე** სახეობათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ სახეობად დარჩეს **ზე** (თავზე, ხელზე, მიწაზე და არა: თავზედ, ხელზედ, მიწაზედ...). **ზედა** სახეობა ამ შემთხვევაში აღარ გვხვდება.

ც) ნაწილაკის დართვისას ძველი (**ზედა**) სახეობა უნდა დარჩეს უცვლელად (**მთაზედაც, მიწაზედაც...** და არა: **მთაზეც, მიწაზეც...**). ისტორიულადაც, ამ ფორმის ბუნებრივი განვითარების თვალსაზრისითაც ეს ფორმა ერთადერთი მართებული ფორმა.



ვე ნაწილაკის დართვისას იხმარებოდეს ძველი სახეობის ხმოვანმოკვეცილი ვარიანტი ზედ (მთაზედვე, მიწაზედვე... და არა: მთაზევე, მიწაზევე...)

ძველი ზედა სახეობა, რა თქმა უნდა, შეიძლება დარჩეს პოეზიის ენაში, სტილისტიკური საჭიროებისათვის: „თოვლი დამდნარა მთაზედა, ხეებზე მოჰყვეს ღვარია“. — (ვაჟა).

2. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთი სახეობაა ში. ც(ა) ნაწილაკის დართვისას შეიძლება იხმარებოდეს შია სახეობაც: ამაშიც და ამაშიაც; მთაშიც და მთაშიაც; ბარშიც და ბარშიაც. ამათგან უპირატესობა უნდა მიეცეს პირველს: ამაშიც, მთაშიც, ბარშიც.

3. ც(ა) და ვე ნაწილაკების დართვისას დარჩეს თან და თანა სახეობები თანდებულისა, მაგრამ ც(ა) ნაწილაკის დართვის შემთხვევაში თან სახეობის წინაშე უპირატესობა შეიძლება თანა სახეობას მიენიჭოს (უპირატესია: დედასთანაც, ამხანაგთანაც...), ხოლო ვე ნაწილაკის დართვის შემთხვევაში თან სახეობას (უპირატესია: დედასთანვე, ძმასთანვე, ამხანაგთანვე, თქვენთანვე, ჩემთანვე, მაგრამ: ამასთანვე, ამის მიღებისთანავე).

4. გან თანდებულიან სახელებზე ც(ა) ნაწილაკის დართვისას მიღებულ გან-ც და გან-ა-ც ფორმებისაგან ორივე ლიტერატურულია: ძმისაგანც და ძმისაგანაც. ვე ნაწილაკის დართვისას მხოლოდ უანო ფორმა შესაძლებელია: ძმისაგან-ვე.

5. მდე, მდის, მდი, მდინ და სხვა სახეობათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შეიძლება დარჩეს მხოლოდ ორი: მდე და მდის (ქალაქამდე და ქალაქამდის, აქამდე და აქამდის). მდის სახეობას ზურგს უმაგრებს ამ თანდებულიანი ზოგი სიტყვა, რომელიც გაქვევებულ ფორმას წარმოადგენს: ნახვამდის, მაგალითად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ გამონათქვამში მდის იხმარება, უპირატესობა მდე სახეობას უნდა მიეცეს და მას გაეჭაფოს გზა, როგორც ძველ ქართულში და თანამედროვე ქართულშიც უფრო გავრცელებულს. ამ სახეობის გაბატონება ხელს შეუშლის -მდი, -მდინ სახეობების გამოყენებასაც.

6. მტკიცედ უნდა იქნეს დაცული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული წესი, რომ

ა) გან თანდებული ნათესაობითს დაერთვის მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე ამხანაგისგან (ამხანაგისაგან); შაქარს ამზადებენ ჭარხლისგან (ჭარხლისაგან); მიწვევა მიიღეს უნივერსიტეტისგან (უნივერსიტეტისაგან)...

ბ) გან თანდებული მოქმედებითს დაერთვის მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? (ქალაქიდან ჩამოვიდა... ახლაზან დაბრუნდა უნივერსიტეტიდან... დილიდან წვიმდა...).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ერთადერთი ფორმა იქნება ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული იდ-ან, დ-ან ფორმები: ქალაქ-იდ-ან, წყარო-დ-ან. დადასტურდეს ქალაქ-იდ-გან, წყარო-დ-გან ფორმების საბოლოოდ გაქრობა თან-

მედროვე სალიტერატურო ქართულში, ისევე როგორც **დამ** თანდებულისანი ფორმებისა (**ქალაქი-დამ**, **სოფლი-დამ**... ფორმების საკითხი თანამედროვე ქართულში აღარ დგას).

7. ბოლო თანხმონიან სახელებში უპირატესობა მიეცეს ვით ნაწილაკის ხმარებას მიცემით ბრუნვასთან (**ლომხავით**, **კაცხავით**) და ამ ფორმებს გაეკაფოს გზა. გათანდებულების გზაზე დამდგარი ამ ნაწილაკის ხმარება სახელობითთან დასაშვებად იქნეს მიჩნეული (**ლომივით**, **კაცივით**).

პირის ნაცვალსახელებს დართვისას შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმა იქნება გამოყენებული და თანხმონიანობის მიუხედავად ერთადერთ შესაძლებლობას მიცემითს დართვა წარმოადგენს (**ჩემხავით**, **შენხავით**, **ჩვენხავით**, **თქვენხავით**. შეუძლებელია: **ჩემივით**, **შენივით**, **ჩვენივით**, **თქვენივით**).

8. **თვის**, **კენ** და **გან** თანდებულის დართვისას ნათესაობითი ბრუნვის ფორმებზე ორივე ფორმა იქნეს მიჩნეული დასაშვებად: **გაერცობილიც** და **გაუერცობელიც** (**ძმისათვის** და **ძმისთვის**, **სახლისაკენ** და **სახლისკენ**, **ძმისაკენ** და **ძმისკენ**), რამდენადაც ორივე ლიტერატურული ფორმაა და რომელიმე მათგანის უსწორობის საკითხი არ დგას. მათი ხმარება უმთავრესად სტილისტიკურ საჭიროებას არის შეფარდებული. ერთგვარი უპირატესობა მაინც გაუერცობელ ფორმებს (**ძმისთვის**, **სახლისკენ**, **ძმისგან**) აქვს. ე. ი. იმათ, რომელთაგანაც ჩანს მიღებული დღევანდელი ბრუნვის ფორმას შერწყმული სახეობები თანეებულდართული სახელებისა.